

ორსულობისთვის მზაობა და პრევენციული ღონისძიებების გავლენა  
ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე

ეკატერინე ფარჯიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის  
მაგისტრის*

*აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა იმნაძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*ეკატერინე ფარჯიანი*

*14.06 2014*

## აბსტრაქტი

სახელმწიფოს წარმატებული მომავლის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია ჯანმრთელი და მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა თაობა, რომელზეც სახელმწიფო ზრუნავს, პრენატალურ და ნეონატალურ, ასევე მის შემდგომ პერიოდში. დედის ჯანმრთელობა და ცხოვრების წესი ორსულობის პერიოდში მნიშვნელოვანია, რადგან გავლენას ახდენს ნაყოფის ნორმალურ განვითარებაზე და იწვევს სხვადასხვა პათოლოგიებს. პრენატალური, ინტერნატალური, ნეონატალური და ჩვილ ბავშვთა მოვლის ძირითადი მიზნებია დედის ბავშვის უზრუნველყოფა ოპტიმალური პირობებით და ზედამხედველობით, რათა მიღწეულ იქნას მშობიარობის საუკეთესო გამოსავალი, დედის ჯანმრთელობისა და ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობის შენარუქუნებისა და ბავშვის ოპტიმალური განვითარების შესაძლებლობა.

ნაშრომის მიზნის შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, მოხდა იმ ჯგუფების ინფორმაციულობის დადგენა, რომელიც წარმოადგენდა სამიზნე აუდიტორიას, (18-22 ასაკის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები) გაკეთდა მიღებული ინფორმაციის ანალიზი, რის შედეგადაც ნაშრომში წარმოდგენილია მომავალი დედების მზაობის და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობაზე მათი ინფორმაციულობის მაჩვენებლების შეფასება. კვლევის შედეგებსა და მათ მნიშვნელობებზე დაყრდნობით, შემუშავებულია დასკვნა, რომ საქართველოში მომავალი დედების ინფორმაციულობის დონე და მათი ჩაღთულობა პრევენციულ ღონისძიებებში, არის საკმაოდ დაბალი. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია მასზე ყურადღების გამახვილება და სახელმწიფო პროგრამების გატარება, რაც ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას: გაზრდის ინფორმაციულობის დონესა და დედათა ჩართულობას ორსულობის დროს პრევენციულ ღონისძიებებში, რაც თვის მხრივ, დადებით გავლენას იქონიებს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე.

## მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, დიდ მადლობას ვუხდით, ჩემს ხელმძღვანელ ბატონ პაატა იმნაძეს და ჯანდაცვისა და სადაზღვეო სკოლის დირექტოს, ბატონ თენგიზ ვერულავას.

ასევე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის, „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“, დოქტორანტს მაგდა ასათიანს.